



საქართველოს მთავრობის ბანკარბულება

N 2580 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს გამოანგარიშების წესისაგან განსხვავებული საგამონაკლისო წესის დადგენის თაობაზე

1. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დადგინდეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს გამოანგარიშების წესისაგან განსხვავებული საგამონაკლისო წესი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაშია 2019 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი



მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის
2018 წლის 31 დეკემბრის
№ 2580 განკარგულების

დანართი

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს გამომანგარიშების წესისაგან განსხვავებული საგამონაკლისო წესი

მუხლი 1. დადგინდეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობათა/ფუნქციათა ნუსხა, რომელთა განხორციელების შემთხვევაში მათი შრომის ანაზღაურება გამომანგარიშდება ამ წესის შესაბამისად:

ა) ანალიტიკოსი/ბიზნესანალიტიკოსი – ინფორმაციული სისტემების შექმნის/დახვეწისა და პროგრამული უზრუნველყოფის მიზნებისათვის ბიზნესპროცესებისა და ამოცანების ანალიზი, ინფორმაციულ სისტემებთან და პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროექტების მართვა; ინფორმაციული სისტემების სპეციფიკაციების, ტექნიკური დავალებისა და არქიტექტურის შემუშავება; ინფორმაციული სისტემების ფუნქციონალის/მოდულის ტესტირების გეგმის შემუშავება, ამავე სფეროში ტესტირებისა და დანერგვის პროცესში ჩართულობა;

ბ) პროგრამისტი (უმცროსი, უფროსი, მთავარი/არქიტექტორი) – საინფორმაციო სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და მოდერნიზაცია, პროგრამული კოდის შემუშავება, არსებული პროგრამული

კოდის რევიზია, ოპტიმიზაცია, გაუმჯობესება უშუალოდ პროგრამირების პროცესთან დაკავშირებული საპროექტო დოკუმენტაციის შექმნა; პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება და ხარისხის კონტროლის პროცესში ჩართულობა; პროგრამული კოდის/სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით ახალი ალგორითმისა და არქიტექტურის შემუშავება;

გ) კომპიუტერული სისტემების ადმინისტრატორი (უმცროსი/უფროსი)

– საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების დაგეგმვა/ დანერგვა/ ადმინისტრირება, სისტემების ინსტალაცია/განახლება. აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, კონფიგურირება და განახლება. შესაბამისი პროცესების კოორდინაცია, მონიტორინგი და ოპტიმიზაცია;

დ) კომპიუტერული ქსელების ადმინისტრატორი (უმცროსი/უფროსი)

– კომპიუტერული ქსელების არქიტექტურის განსაზღვრა/დაგეგმვა/ ადმინისტრირება. აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, კონფიგურირება და განახლება. შესაბამისი პროცესების კოორდინაცია, მონიტორინგი და ოპტიმიზაცია;

ე) კომპიუტერული ქსელების ან/და სისტემების არქიტექტორი –

კომპიუტერული სისტემების ან/და ქსელების არქიტექტურის დაგეგმვა/ადმინისტრირება. აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციის, კონფიგურაციისა და განახლების პროცესების კოორდინაცია და მონიტორინგი;

ვ) VoIP სატელეფონო ქსელის ადმინისტრატორი (უმცროსი/უფროსი) –

სატელეფონო ქსელის არქიტექტურის დაგეგმვა/დანერგვა/ ადმინისტრირება. შესაბამისი საინფორმაციო სისტემების შემუშავება, კონფიგურირება, ინსტალაცია, ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა და ადმინისტრირება;

ზ) მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორი (უფროსი/უმცროსი) –

მონაცემთა ბაზების არქიტექტურის განსაზღვრა, ადმინისტრირება, მართვა, ინსტალაცია, კონფიგურაცია, შენახვა და აღდგენა;

თ) რადიოსისტემების ადმინისტრატორი – ციფრული ან თრანქული რადიო ან/და რადიოსადისპეტჩერო სისტემების მართვა და მონიტორინგი, სისტემის დაგეგმარება, სიტუაციური მართვა და კონფიგურაცია, შაბლონური და მრავლობითი შაბლონური მოქმედებების დაგეგმვა.

მუხლი 2. ამ წესის პირველი მუხლით განსაზღვრულ თანამდებობებზე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურება განისაზღვროს შემდეგნაირად:

№	თანამდებობის დასახელება	შრომის ანაზღაურების ოდენობა	შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა
ა)	ანალიტიკოსი/ ბიზნესანალიტიკოსი	არა უმეტეს 4800 (ოთხი ათას რვაასი) ლარისა	2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
ბ)	პროგრამისტი (მთავარი)	არა უმეტეს 4800 (ოთხი ათას რვაასი) ლარისა	2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
გ)	პროგრამისტი (არქიტექტორი)	არა უმეტეს 6200 (ექვსი ათას ორასი) ლარისა	2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
დ)	პროგრამისტი (უფროსი)	არა უმეტეს 5200 (ხუთი ათას ორასი) ლარისა	2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
ე)	პროგრამისტი (უმცროსი)	არა უმეტეს 4800 (ოთხი ათას რვაასი) ლარისა	2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
ვ)	კომპიუტერული სისტემების	არა უმეტეს 5200 (ხუთი ათას ორასი)	2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

	ადმინისტრატორი (უფროსი)	ლარისა	
ზ)	კომპიუტერული სისტემების ადმინისტრატორი (უმცროსი)	არა უმეტეს 4800 (ოთხი ათას რვაასი) ლარისა	2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
თ)	კომპიუტერული ქსელების ადმინისტრატორი (უფროსი)	არა უმეტეს 5200 (ხუთი ათას ორასი) ლარისა	2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
ი)	კომპიუტერული ქსელების ადმინისტრატორი (უმცროსი)	არა უმეტეს 4800 (ოთხი ათას რვაასი) ლარისა	2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
კ)	ქსელური და სისტემური ინფრასტრუქტურის არქიტექტორი	არა უმეტეს 6200 (ექვსი ათას ორასი) ლარისა	2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
ლ)	VoIP სატელეფონო ქსელის ადმინისტრატორი (უფროსი)	არა უმეტეს 5200 (ხუთი ათას ორასი) ლარისა	2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
მ)	VoIP სატელეფონო ქსელის ადმინისტრატორი (უმცროსი)	არა უმეტეს 4800 (ოთხი ათას რვაასი) ლარისა	2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
ნ)	მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორი (უფროსი)	არა უმეტეს 4800 (ოთხი ათას რვაასი) ლარისა	2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
ო)	მონაცემთა ბაზების	არა უმეტეს 4500	2019 წლის 31

	ადმინისტრატორი (უმცროსი)	(ოთხი ათას ხუთასი) ლარისა	დეკემბრის ჩათვლით
პ)	რადიოსისტემების ადმინისტრატორი	არა უმეტეს 5200 (ხუთი ათას ორასი) ლარისა	2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით